ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2865974

ნომერი: AR1441797

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 30.09.2016

გაცნობის თარიღი : 30.09.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 6 , (ნაკვეთი 2/19) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 6 , (ნაკვეთი 2/19) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 6 , (ნაკვეთი 2/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სურგულაძე პ/ნ 01024029854
- თბილისი დიდი დიღომი IV მ/რ კორ. 10 ბ. 32

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1441797 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.19.19.002.053, 01.19.19.002.046, 01.19.19.002.052) სასაფლაოს განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა – 2 (ს–2) და ნაწილზე (ს/კ: 01.19.19.002.052) სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2).
,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების თანახმად სამრეწველო ზონა – 2 წარმოადგენს — ერთგვაროვანი სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების და ნაგავსაყრელის ტერიტორიებს. სამრეწველო ზონა 2–ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე — ნაგავსაყრელის ტერიტორიები;
ხოლო სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2) — წარმოადგენს სპეციალურ ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ სასაფლაო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2)–ში დაუშვებელია ყოველგვარი შენებლობა, გარდა სასაფლაოებისა და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობებისა (არადომინირებული), აგრეთვე საკულტო შენობა–ნაგებობების განთავსება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე. (იხ.დანართი).
ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონიდან (სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2)) და გამომდინარე იქიდან, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით უკვე არსებობს სასაფლაო არქიტექტურის სამსახურს, მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოცემულ ტერიტორიაზე დამატებით სასაფლაოს განთავსება, შესაბამისად არქიტექტურის სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.